

მთიანი რეგიონების დასახლებების წყალმომარაგების, წყალარინების და  
სანიაღვრე სისტემების განვითარების პერსპექტივები დაბა სტეფანწმინდის  
მაგალითზე

**ზურაბ ჯიქია**

ელ.ფოსტა: zurab.jikia@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

საქართველო მთიანი ქვეყანაა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ტენდენციები წინა პლანზე აყენებს სასოფლო და მცირე სადაბო დასახლებებში კომფორტულ გარემოს არსებობას, განსაკუთრებით ტურისტულ რეგიონებში. ამიტომ ნაცვლად ინდივიდუალური წყალმომარაგების სისტემებისა დღის წესრიგში დგება ცენტრალური წყალმომარაგების, შესაბამისი წყალარინების და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა და გამართული ექსპლუატაცია. ეს საკითხი მოსაწესრიგებელია საქართველოს ბევრ დასახლებულ ტერიტორიაზე.

ამ კუთხით განხილული გვაქვს დაბა სტეფანწმინდისა და გერგეთის წყალმომარაგების წყაროები, მათი დღევანდელი მდგომარეობა. წყალარინების სისტემა, ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები და მათი ზემოქმედება გარემოზე. სანიაღვრე სისტემა, სანიაღვრე სისტემის დაბინძურების წყაროები და მისი გაწმენდის შესაძლებლობები. ასევე ამ სისტემების განვითარების პერსპექტივები ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტული ინფრასტრუქტურის ზრდის ინტერესების გათვალისწინებით.

დაბა სტეფანწმინდის, როგორც მაღალმთიანი რეგიონის წყალმომარაგება-წყალარინების და სანიაღვრე სისტემების ანალიზი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სამოდულო კვლევა, რომლის მეთოდოლოგიური საფუძვლები გამოყენებულ იქნება ქვეყნის სხვა მთიან რეგიონებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** მთიანი რეგიონი; წყალმომარაგება; წყალარინება; სანიაღვრე სისტემა.